„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“

ლადო ასათიანი



ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ნოემბერი. 2016 * (9)26

# გედევან ფოფხაძე — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატი 45-ე ოლქში

(ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი)



გედევან ფოფხაძე დაიბადა 1975 წლის 11 მარტს ქ. ბორჯომში. სწავლობდა ამავე ქალაქის მე-2 საშუალო სკოლაში. დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პროფესიით სამართალმცოდნეა.

2001-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოში კონსულტანტად;

2002-2003 წლებში — ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა;

2003 წელს — ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

2004-2005 წლებში — დროებით უმუშევარია.

2006- 2008 წლებში — ბორჯომის საკრებულოს წევრია;

2008-2011 წლებში — ა/ს „ატორნეის“ იურისტია;

2012 წელს არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად ბორჯომის რაიონიდან. არის ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომრის პირველი მოადგილე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის, სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტართა მეგობრობის ჯგუფის წევრი;

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ — საქართველოს კონსტიტუციური კანონპროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრი;

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა (PABZEC)-ის — საპარლამენტო დელეგაციის წევრი.

გედევან ფოფხაძე წლების განმავლობაში იყო ინტელექტუალური გუნდის საუკეთესო კაპიტანი.

მან „ქართულ ოცნებასთან“ ერთად არჩევნების პირველ ტურშივე მიიღო ნდობის მანდატი.

*„გედევანი ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ადამიანია, ვისაც კი ვიცნობთ და შევხვედრივართ. ის არის ადამიანი, რომელსაც გააჩნია სწორი ღირებულებები და პრინციპები, რომელთა დასაცავადაც არცერთი ნაბიჯით არ დაიხევს უკან. გედი არის თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც ამ სიყვარულს არა განცხადებებითა და სადღეგრძელოებით, არამედ ყოველდღიური საქმიანობით ადასტურებს. გედი ასევე არის ადამიანი, რომელმაც იცის მეგობრობის ფასი, იგი ყოველთვის გიერთგულებს და თუ საჭიროა, შენთვის შესაძლებლობაზე მეტსაც კი გააკეთებს. სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ პოლიტიკაში და ქვეყნის მართვის სადავეებთან. დაუფიქრებლად ჩავაბარებდით გედის ჩვენი ქვეყნის ბედს. ის აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკაში და... ილწვოდეს ქვეყნისათვის. საქართველოს ეს ჭირდება*“! — ეს ამონარიდია იმ განცხადებიდან, რომელსაც არჩევნების წინ ხელს აწერდნენ ინტელექტკლუბის წევრები — გიორგი მოსიძე, ლაშა კილაძე, ირინა ფრუიძე, ოთარ საბაშვილი, დავით ლომინაძე, დავით კაციტაძე, ზაალ ხელაძე და სხვები.



სასიხარულოა, რომ სწორედ გედევან ფოფხაძეა დღეს ასპინძის ხმა საქართველოს პარლამენტში. გედევანისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმა მივეცით ეროვნულ, ტრადიციულ და ჩვენი სამშობლოსათვის ღირსეულ ფასეულობებს, გონიერებითა და სულიერებით გამორჩეულ, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ, სიკეთით სავსე და ადამიანის უზომოდ მოყვარულ ქვეყნის მსახურს.

ვულოცავთ ბატონ გედი ფოფხაძეს პარლამენტის წევრად არჩევას და ვუსურვებთ ხალხის დიდი ნდობის გამართლებას.

ინტერვიუ

# არჩევნები დამთავრდა, არჩევანი გაკეთებულია!..

## როსტომ მაგრაქველიძე

**2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დამთავრდა. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად საარჩევნო კამპანია ასპინძაში ორგანიზებულად, წარმატებულად და ობიექტურად ჩატარდა. თავისუფალი არჩევნების გაკეთება დემოკრატიის ერთ-ერთი გამოვლინებაა როგორც რიგით მოქალაქეთათვის, ისე პოლიტიკოსებისათვის, არ აქვს მნიშვნელობა, ვისი მომხრე ხარ, მთავარი ისაა, რომ აკეთო ის, რასაც თვლით, რომ კარგია. ვინმესი კი არა, ყველანი ქვეყნის მომხრეები უნდა ვიყოთ და ყველაფერი კარგად იქნება.**

**მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა 53,47%-მა ხმა მისცა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასპინძამ ხმა მისცა — თავისუფლებას, სწრაფ განვითარებას და კეთილდღეობას!**

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია N39-ე ასპინძის საოლქო-საარჩევნო კომისის თავმჯდომარე როსტომ მაგრაქველიძე და ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე, რომელიც დააინტერესებს „ასპინძის სიახლენის“ მკითხველებს:**

***— ბატონო როსტომ, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დამთავრდა. როგორია შედეგები?***

— პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ისაა რომ, არჩევნები ოცდასამივე უბანში მშვიდ გარემოებაში, პროცედურების ყველა ნორმის დაცვით ჩატარდა, ყოველგვარი ექსცესებისა და დაპირისპირების გარეშე. არცერთი პარტიის წარმომადგენელს, დამკვირვებელს თუ წევრს, როგორც ჩვენთან, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში არ შემოუტანია არავითარი საჩივარი. საარჩევნო უბნები დილით, ზუსტად 8 საათზე გაიხსნა და 20 საათზე დაიხურა. რაც მთავარია, ჩვენთან არჩევნები პირველივე ტურში დამთავრდა.

რაც შეეხება შედეგებს, ასეთია:

N45-36.01 — ასპინძის საარჩევნო უბანი

საარჩევნო უბნის ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა 1456-ს შეადგენს. სპეციალურ სიაში შეყვანილი იქნა 6 ამომრჩეველი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 925-მა ამომრჩეველმა. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პროპორციული სიით ხმები ასე განაწილდა:

N1 — „პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისათვის“ — 76 ხმა; N3 — „ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა — 16; N5 — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 230; N6 — „უსუფაშვილი — რესპუბლიკელები“ — 2; N8 — „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ — 32; N10 — „შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ — 38; N15 — „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ — 1; N19 — „თოფაძე, მრეწველები — ჩვენი სამშობლო — 19“; N25 „მემარცხენე ალიანსი“ — 1; N26 — „ეროვნული ფორუმი“ — 4; N27 — „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატები“ — 16; N41 — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ — 474.

რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს, აქ ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა — კახაბერ ბერიძე — 256; ამირან ტყეშელაშვილი — 4; ტარიელ ლონდარიძე — 235; მარინე გელაშვილი — 1; ზურაბ ხაჩიძე — 21; გიორგი გიუაშვილი — 11; აკაკი ლეკიშვილი — 5; გედევან ფოფხაძე — 378.

N45 — 36.02. ივერიის საარჩევნო უბანი

საარჩევნო უბნის ერთიან სიაში 255 ამომრჩეველია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 172-მა ამომრჩეველმა, სპეციალურ სიაში დაფიქსირდა 4 ამომრჩეველი. ხმები კი ასე გადანაწილდა პროპორციული არჩევნებით:

N1 —7; N5 — 49; N7 — 1; N8 — 4; N10 — 1; N14 — 2; N 17 — 1; N19 — 3; N 25 — 1; N 27 — 4; N28 — 1; N 41 — 92.



მაჟორიტარული არჩევნებით: N1 — კახაბერ ბერიძე — 23; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 2; N5 ტარიელ ლონდარიძე — 51; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 5; N23 — ავთანდილ გონგლაძე — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 83.

N45 — 36.03 აწყვიტის საარჩევნო უნაბი

აწყვიტის საარჩევნო უბნის ერთიან სიაში 437 ამომრჩეველია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 322-მა ამომრჩეველმა. სპეციალურ სიაში კი ერთმა ამომრჩეველმა. ხმები პარტიების მიხედვით ასე გადანაწილდა: N1 — 4; N — 3 —10; N5 — 101; N6 — 2; N8 — 7; N 10 — 4; N41 — 168.

მაჟორიტარული არჩევნებით: N1 — კახაბერ ბერიძე — 37; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 5; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 114; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 7; N10 — გიორგი გიუაშვილი — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 150.

N45 — 36.04 — დამალის საარჩევნო უბანი

დამალის საარჩევნო უბანში 1189 ამომრჩეველია, სპეციალურ სიაში — 2. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 674-მა ადამიანმა.

პროპორციულ არჩევნებში N1-მა პარტიამ მიიღო 63 ხმა; N3-მა — 10; N5-მა —179; N6-მა— 2; N8-მ — 4; N12-მა — 1; N14-მა — 2; N15-მა — 1; N15-მა—1; N19-მა — 14; N25-მა — 1, N41-მა — 373.

მაჟორიტარული არჩევნები ასე გამოიყურება: N1 — კახაბერ ბერიძე — 73 ხმა; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 9; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 188; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 7; N10 — გიორგი გიუაშვილი — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 374.

N45 — 36.05 — ვარგავის საარჩევნო უბანი

ვარგავის საარჩევნო უბანზე ერთიან სიაში რეგისტრირებულია 76 ამომრჩეველი. სპეციალურ სიაში — 1. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 61-მა ამომრჩეველმა. ხმები ასე გადანაწილდა — პროპორციული არჩევნებით: N1 — 5; N3 — 1; N5 — 8; N 19 — 1; N27 — 1; N41 — 42.

მაჟორიტარული არჩევნებით — N1 — კახაბერ ბერიძე — 7; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 15; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 2; N26 — აკაკი ლეკიშვილი — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 36.

N45 — 36.06 — თოკის საარჩევნო უბანი

თოკის საარჩევნო უბნის ერთიან სიაში 92 ამომრჩეველია, სპეციალურ სიაში — 1. არჩევნებში მონაწილეობდა 53 ადამიანი. პარტიების მიხედვით ხმები ასე გადანაწილდა: N1 — 2; N3 — 1; N 5— 16; N6 — 1; N 3 — 1; N 19 — 1; N27 — 2; N 41 — 29.

მაჟორიტარული არჩევნებით: N1 — კახა-

დასასრული მე–2 გვ.

პირველი გვერდიდან

ბერ ბერიძე — 2; N 5 — ტარიელ ლონდარიძე — 13; N26 — აკაკი ლეკიშვილი — 26; N41 — გედევან ფოფხაძე — 11.

N45 — 36.07 — იდუმალის საარჩევნო უბანი

იდუმალის საარჩევნო უბანში 287 ამომრჩეველია, სპეციალურ სიაში — 2. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 213-მა ამომრჩეველმა. პროპორციული არჩევნებით — N1 — 9; N 3 — 13; N5 — 45; N 6 — 1; N8 — 7; N 10 — 14; N 19 — 7; N 27 — 4; N 41 — 112.

მაჟორიტარული არჩევნებით — N1 — კახაბერ ბერიძემ — 17; N3 — ამირან ტყეშელაშვილმა — 8; N 5 — ტარიელ ლონდარიძემ — 59; N7 — მარინე გელაშვილმა — 1; N8 — ზურაბ ხაჩიძემ — 4 და N41 — გედევან ფოფხაძემ — 115.

N45 — 36.08 — ოშორის საარჩევნო უბანი

ოშორის საარჩევნო უბნის ერთიან სიაში რეგისტრირებულია 444 ამომრჩეველი, არჩევნებში მონაწილეობდა 311. პროპორციული არჩევნებით ხმები ასე გადანაწილდა: N1 — 15; N3 — 12; N5 — 87; N 6 — 1; N 8 — 20; N10 — 12; N11 — 1; N19 — 4; N 26 — 1; N 27 — 6; N 41 — 148.

მაჟორიტარული არჩევნებით N1-მა, კახაბერ ბერიძემ მიიღო — 41 ხმა, N5-მა — ტარიელ ლონდარიძემ — 90; N7-მა — მარინე გელაშვილმა — 2; N8-მ — ზურაბ ხაჩიძემ — 24; N-10-მა — გიორგი გიუაშვილმა — 6; N25-მა — გივი მჭედლიშვილმა — 1; N41-მა — გედევან ფოფხაძემ — 145.

N45 — 36. 09 — ნაქალაქევის საარჩევნო უბანი

ნაქალაქევის საარჩევნო უბნის ერთიან სიაში 424 ამომრჩეველია. არჩევნებში მონაწილეობდა 317, სპეციალურ სიით — 1.

პროპორციული არჩევნებით ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: N1 — 17; N—3 — 1; N4— 1; N5 — 71; N6 — 3; N8 — 13; N10 — 15; N15 — 1; N 19 —4; N 27 — 10; N 41 — 177.

მაჟორიტარული არჩევნებით — N1 — კახაბერ ბერიძემ — 65; N 3 — ამირან ტყეშელაშვილმა — 3; N5 — ტარიელ ლონდარიძემ — 59; N8 — ზურაბ ხაჩიძემ — 18; N 10 — გიორგი გიუაშვილმა — 5; N26 — აკაკი ლეკიშვილმა — 1; N41 — გედევან ფოფხაძემ — 160.

N45 — 36.10 — თმოგვის საარჩევნო უბანი

თმოგვის საარჩევნო უბანში რეგისტრირებულია 281 ამომრჩეველი, აქედან არჩევნებში მონაწილეობდა 216 ამომრჩეველი, სპეციალური სიით — 3. პროპორციულ არჩევნებით ხმები ასე გადანაწილდა: N1 — 5; NN3 — 6;; N4 — 1; N5 — 69; N6 — 1; N8 — 12; N10 — 7; N19 — 2; N26 — 3; N27 — 17; N41 — 89.

მაჟორიტარული სია ასე გამოიყურება: N1 — კახაბერ ბერიძე — 29; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 1; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 76; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 11; N10 — გიორგი გიუაშვილი — 3; N23 — ავთანდილ გონგლაძე — 1; N26 — აკაკი ლეკიშვილი — 3; N41 — გედევან ფოფხაძე — 86.

N45 — 36.11 — მირაშხანის საარჩევნო უბანი

მირაშხანის საარჩევნო უბანში 216 ამომრჩეველია. აქედან მონაწილეობა მიიღო 170-მა ამომრჩეველმა, სპეციალური სიით — 25-მა. პროპორციული არჩევნებით ხმები ასე გადანაწილდა: N1 —5; N3 — 3; N 5 — 34; N6 — 4; N8 — 4; N15 —1; N19 — 2; N26 — 1; N27 — 4; N41 — 108.

მაჟორიტარული არჩევნების მიხედვით: N1-მა — კახაბერ ბერიძემ მიიღო — 14 ხმა; N3— ამირან ტყეშელაშვილმა — 1; N5 — ტარიელ ლონდარიძემ — 40; N8 — ზურაბ ხაჩიძემ — 4; N25 — გივი მჭედლიშვილმა — 1; N41 — გედევან ფოფხაძემ — 88.

N45 — 36.12 — ოთის საარჩევნო უბანი

ოთის საარჩევნო უბანში სულ 288 ამომრჩეველია. კენჭისყრაში მონაწილეობდა 208 ადამიანი, სპეციალურ სიაში იყო 4 ამომრჩეველი. პროპორციული არჩევნებით N1-მა მიიღო 16 ხმა; N2-მა — 1; N3-მა — 1; N5-მა — 61; N6-მა — 1; N8-მ — 13; N10-მა — 4; N12-მა — 1; N14-მა — 1; N19-მა — 1; N23-მა — 1; N27-მა — 4; N41-მა — 92.

მაჟორიტარულ არჩევნებში ხმები ასე განაწილდა: N1 — კახაბერ ბერიძე — 34; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 57; N7 — მარინე გელაშვილი — 1; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 16; N10 — გიორგი გიუაშვილი — 3; N41 — გედევან ფოფხაძე — 87.

N45 — 36.13 — ორგორის საარჩევნო უბანი

ორგორის საარჩევნო უბნის საერთო სიაში 126 ამომრჩეველია, მონაწილეობა მიიღო 83 ამომრჩეველმა, სპეციალური სიით — 3-მა. პროპორციული არჩევნებით ხმები ასე გადანაწილდა: N1 — 5; N3 — 2; N 4 — 3; N5 — 28; N7 —6; N8 — 3; N19 — 1; N41 — 34. მაჟორიტარული არჩევნებით — N1 — კახაბერ ბერიძე — 11; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 1; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 36; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 4; N 41 — გედევან ფოფხაძე — 30.

N45 — 36.14 — სახუდაბლის საარჩევნო უბანი

სახუდაბლის საარჩევნო უბნის საერთო სიაში 137 ამომრჩეველია. არჩევნებში მონაწილეობდა 98 ამომრჩეველი. პროპორციული არჩევნები ასე გამოიყურება: N1 — 2; N3 — 1; N5 — 23; N 6 —2; N8 — 2; N17 — 1; N19 — 1; N 41 — 62.

მაჟორიტარულ არჩევნებით: N1 — კახაბერ ბერიძე — 8; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 29; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 2; N 41 — გედევან ფოფხაძე — 57.

N45 — 36. 15 — რუსთავის საარჩევნო უბანი

რუსთავის საარჩევნო უბნის საერთო სიაში 352 ამომრჩეველია. კენჭისყრაში მონაწილეობდა — 258. პროპორციული სიით მონაცემები ასეთია: N1 — 3 ხმა; N3 — 21; N5 — 116; N8 — 4; N10 — 4; N 19 — 5; N 27 — 3; N 41 — 98.

მაჟორიტარული სიით N1 — კახაბერ ბერიძე — 6 ხმა; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 7; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 130; N7 — მარინე გელაშვილი — 2; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 8; N10 — გიორგი გიუაშვილი — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 96.

N45 — 36. 16 — ტოლოშის საარჩევნო უბანი

ტოლოშის საარჩევნო უბნის საერთო სიაში 445 ამომრჩეველია. არჩევნებში მონაწილეობდა 327 ადამიანი. პროპორციული არჩევნებით N1-მა მიიღო 12 ხმა; N3-ემ — 10; N5-ემ — 140; N6-ემ — 3; N7-ემ — 1; N8-ემ — 7; N10-ემ — 5; N19-მა — 3; N27-ემ — 8; N41-ემ — 130.



მაჟორიტარების ხმები ასე განაწილდა: N1 — კახაბერ ბერიძე — 25; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 6; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 147; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 8; N10 — გიორგი გიუაშვილი — 3; N41 — გედევან ფოფხაძე — 122.

N45 — 36. 17 — ხერთვისის საარჩევნო უბანი

ხერთვისის საარჩევნო უბანში 239 ამომრჩეველია, აქედან არჩევნებში მონაწილეობდა 147. პროპორციული სიით ხმები ასე განაწილდა: N1 — 9; N3 — 8; N5 — 57; N8 — 2; N10 — 8; N 19 — 2; N27 — 2; N41 — 56.

მაჟორიტარებში — N1 — კახაბერ ბერიძე — 19; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 6; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 70; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 3; N41 — გედევან ფოფხაძე — 47.

N45 — 36, 18 — ზველის საარჩევნო უბანი

ზველის საარჩევნო უბანში 375 ამომრჩეველია. კენჭისყრაში მონაწილეობდა 263. პროპორციული სიით ხმები ასე გადანაწილდა: N1 — 6; N3 —7; N4 — 1; N5 — 71; N 6 —6; N 8 — 14; N — 10 —9; N14 — 1; N17 —1; N 19 —3; N 27—7; N41 — 132.

მაჟორიტარული ხმები ასე განაწილდა: N1 — კახაბერ ბერიძე — 19; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 6; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 82; N8 ზურაბ ხაჩიძე — 18; N10 — გიორგი გიუაშვილი — 3; N23 — ავთანდილ გონგლაძე — 1; N26 — აკაკი ლეკიშვილი — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 129.

N45 — 36. 19 — ჭობარეთის საარჩევნო უბანი

ჭობარეთის საარჩევნო უბანში რეგისტრირებულია 275 ამომრჩეველი, აქედან მონაწილეობა მიიღო 209 ამომრჩეველმა. პროპორციული სია ასე გადანაწილდა: N1 — 16, N3 —4, N5 — 37, N10 — 4, N18 — 1, N19 — 1, N27 — 7, N41 — 135.

მაჟორიტარული სიით: N1 — კახაბერ ბერიძე — 15; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 3; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 38; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 7; N10 — გიორგი გიუაშვილი — 4; N23 — ავთანდილ გონგლაძე — 1; N26 — აკაკი ლეკიშვილი — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 133.

N45 —16. 20 — ხიზაბავრის საარჩევნო უბანი

ხიზაბავრის საარჩევნო უბანში საერთო სიით 564 ამომრჩეველია. აქედან მონაწილეობდა 368 ამომრჩეველი.

პროპორციული ხმები ასე გადანაწილდა: N1 — 8; N3 — 5; N4 — 1; N5 — 60; N6 — 3; N7 — 1; N 8 — 1; N10 — 1; N12 — 2; N18 — 1; N19 — 5; N 27 — 4; N41 — 262. მაჟორიტარტული: N1 — კახაბერ ბერიძე — 13; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 1; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 72; N7 — მარინე გელაშვილი — 2; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 2; N10 — გიორგი გიუაშვილი — 1; N26 —აკაკი ლეკიშვილი — 3; N41 — გედევან ფოფხაძე — 265.

N45 — 36. 21 — საროს საარჩევნო უბანი

საროს საარჩევნო უბანში 191 ამომრჩეველია. არჩევნებში მონაწილეობდა 146 ამომრჩეველი. პროპორციული სია ასეთია: N1 — 5; N3 —2; N5 — 82; N6 —3; N10 — 4; N 14 — 3; N 19 — 2; N 27 — 3; N 41 — 40.

მაჟორიტარული: N1 — კახაბერ ბერიძე — 5; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 1; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 98; N7 — მარინე გელაშვილი — 1; N8 — ზურაბ ხაჩიძე —1; N10 — გიორგი გიუაშვილი — 1; N23 — ავთანდილ გონგაძე — 1; N41 — გედევან ფოფხაძე — 37.

N45 — 36. 22 — ნიჯგორის საარჩევნო უბანი

ნიჯგორის საარჩევნო უნანში 256 ამომრჩეველია, აქედან არჩევნებშიუ მონაწილეობდა 195 ამომრჩეველმა. პროპორციული სიით ხმები ასე განაწილდა: N1 — 12; N 3 — 3; N 5 — 63; N8 — 8; N 10— 3; N19 — 1; N 27 — 6; N30 —1; N41 — 94.

მაჟორიტარული ხმები კი ასეთია: N1 — კახაბერ ბერიძე — 20; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 2; N5 ტარიელ ლონდარიძე — 85; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 5; N41 — გედევან ფოფხაძე — 81.

N45 — 16. 23 — ასპინძის საარჩევნო უბანი

ასპინძის N23 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულია 1311 ამომრჩეველი, კენჭისყრაში მონაწილეობდა 879 ამომრჩეველი, სპეციალური სიით — 8; პროპორციული სიით ხმები ასე გადანაწილდა: N1 — 57; N3 — 9; N5 — 183; N6 — 3; N7 — 2; N 8 — 28; N18 —1; N 19 — 22; N27 — 10; N41 — 514.

მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგები ასეთია: N1 — კახაბერ ბერიძე — 204; N3 — ამირან ტყეშელაშვილი — 1; N5 — ტარიელ ლონდარიძე — 195; N7 — მარინე გელაშვილი — 9; N8 — ზურაბ ხაჩიძე — 24; N10 — გიორგი გიუაშვილი — 5; N26 — აკაკი ლეკიშვილი — 2; N41 — გედევან ფოფხაძე — 423.

რაც შეეხება საბოლოო შედეგებს — N 45 — 36 ასპინძის საარჩევნო ოლქში მთლიანად რეგისტრირებულია 9716 ამომრჩეველი, კენჭისყრაში მონაწილეობდა 6615 ამომრჩეველი. ხმები კი შემდეგნაირად გადანაწილდა პარტიების მიხედვით: N1 — „პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისათვის“ — 359; N2 — „პროგრესული დემოკრატიული მოძრაობა“ — 1; N3 — „ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა“ — 150; N 4 — „ჯონდი ბაღათურია — ქართული დასი“ — 6; N5 — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 1785; N6 — „უსუფაშვილი — რესპუბლიკელები“ — 38; N7 — „თამაზ მეჭიაური — ერთიანი საქართველოსათვის“ — 28; N „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ — 1954 ; N10 — „შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ — 165; N11 — „სახალხო ხელისუფლება“ — 1; N12 — „საქართველოს კომუნისტრური პარტია — სტალინელები“ — 3; N14 — „დავით თევზაძე — საქართველოს მშვიდობისათვის“ — 9; N15 — „მშრომელთა სოციალისტური პარტია„ — 4; N17 — „საქართველო“ — 3; N18 — „ქართული იდეა“ — 3; N 19 — „თოფაძე, მრეწველები — ჩვენი სამშობლო“ — 114; N23 — „ჩვენები — სახალხო პარტია“ — 1; N25 — „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე — მემარჯვენე ალიანსი“ — 3; N26 — „ეროვნული ფორუმი“ — 3; N27 — „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატები“ — 119; N28 — „ზვიადის გზა — უფლის სახელით“ — 1; N30 — „ჩვენი საქართველო“ — 1; N 41 — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ — 3461. ბათილად მიჩნეული იქნა 142 ბიულეტენი.

მთლიანად N1-მა — „პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისათვის“ მიიღო 5,55%; N5 — „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ — ხმების 27,58 %,; N8 — „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსმა“ — 3%; N41-მა — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო„-მ — 53,47%.

— როგორია საბოლოო შედეგები საქართველოს პარლამენტის N45 მაჟორიტარ ოლქში, რომელიც აერთიანებს ასპინძის, ახალქალაქის 9 თემსა და ბორჯომის ამომრჩევლებს?

— საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში 44024-ია. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობამ იყო მხოლოდ 23 654.

ამომრჩეველთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: N1 — „პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისათვის“ — 762; N2 — „პროგრესული დემოკრატიული მოძრაობა“ — 4; N3 — „ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა“ — 1106; N4 — „ჯონდი ბაღათურია — ქართული დასი“ — 17; N5 — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 4830; N6 — „უსუფაშვილი — რესპუბლიკელები— — 163; N7 — „თამაზ მეჭიაური — ერთიანი საქართველოსათვის“ — 140; N8 — „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი“ — 1954; N10 — „შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ — 800; N11 — „სახალხო ხელისუფლება“ — 11; N12 — „საქართველოს კომუნისტური პარტია“ — 11; N14 — „დავით თევზაძე — საქართველო მშვიდობისათვის“ — 46; N15 — „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ — 10; N16 — „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ — 13; N17 — „საქართველო“ — 17; N18 — „ქართული იდეა“ — 19; N19 — „თოფაძე — მრეწველები“ — 286; N22 — „მერაბ კოსტავას საზოგადოება“ — 7; N23 — „ჩვენი სახალხო პარტია“ — 28; N25 — „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე — მემარცხენე ალიანსი“ — 48; N26 — „ეროვნული ფორუმი“ — 41; N27 — „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატები“ — 519; N28 — „ზვიადის გზა — უფლის სახელით“ — 11; N30 — „ჩვენი საქართველო“ — 11; N41 — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ — 12068.

ბათილად მიჩნეული ბიულეტინების რაოდენობამ 700 შეადგინა.

მაჟორიტარული სისტემით არჩევნების შედეგები კი ასეთია:

N1 — კახაბერ ბერიძე — 1355 ხმა;
N3 — ამირამ ტყეშელაშვილი — 722 ხმა;
N5 — ტარიელ ლონდარიძე — 4911 ხმა;
N7 — მარინე გელაშვილი — 432 ხმა;
N8 — ზურაბ ხაჩიძე — 2828 ხმა;
N10 — გიორგი გიუაშვილი — 521 ხმა;
N23 — ავთანდილ გონგლაძე — 185 ხმა;
N25 — გივი მჭედლიშვილი — 91 ხმა;
N26 აკაკი ლეკიშვილი — 114 ხმა;
N41 — გედევან ფოფხაძე — 11 677 ხმა.

საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრად არჩეული იქნა გედევან ფოფხაძე.

გმადლობთ.

მანანა კიკნაძე

# კანონი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს

2016 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა კანონი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მას მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის, საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებოდნენ. კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა; მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა. ახალი კანონი უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული.

„სახელმწიფო პროექტის" შემუშავება და შესაბამისი კანონის მომზადება მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვიეს. დღეისათვის ქვეყანაში არსებული



მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25%-მდეა რეგისტრირებული, რაც უმნიშვნელოა. ცვლილებების უმთავრესი მიზანი სწორედ მიწის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და წახალისებაა. პროექტზე მუშაობისას მიწის მარტივი რეგისტრაციისათვის თვალშისაცემი პრობლემები გამოვლინდა და მათ აღმოსაფხვრელად სპეციალური კანონი მომზადდა, რომლითაც: შემუშავდა საამზომლო ნახაზის ერთიანი სტანდარტი.

აზომვით ნახაზში არსებული უზუსტობა ხშირად ხდებოდა მიწის რეგისტრაციის ხელშემშლელი ფაქტორი. ე.წ. გადაფარვების არსებობის გამო, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საჯარო რეესტრს 56 ათასამდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუხდა, პრობლემების მოგვარება კი მხოლოდ სასამართლო გზით იყო შესაძლებელი, რაც მოქალაქეებისთვის დროისა და დამატებითი რესურსების ხარჯვას ნიშნავდა. ამ პრობლემებს საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობა იწვევდა. ხშირად საკადასტრო ნახაზები ოფისიდან გაუსვლელად სრულდებოდა, რაც ცდომილების მიზეზი ხდებოდა, აფერხებდა მიწის რეგისტრაციის პროცესს და ლახავდა მესაკუთრეთა უფლებებს.

გატარებული ცვლილებების შედეგად საქართველოს მთავრობის მიერ აზომვითი ნახაზის ერთიანი სტანდარტი დამტკიცდა. ამზომველსა და მოქალაქეს შორის გაიმიჯნა პასუხისმგებლობა. კერძოდ, უძრავი ნივთის ადგილმდებარეობისა და საზღვრის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია მესაკუთრე, ხოლო აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასა და ნახაზის სისწორეზე — ამზომველი.

ახალი სტანდარტები უფრო მეტად დაცულს ხდის როგორც მიწის მესაკუთრეს, ისე ამზომველების უფლებებს. ამზომველებს ეცოდინებათ, როგორ აზომონ მიწის ნაკვეთი ცდომილების გარეშე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მესაკუთრეებს შორის სამომავლო დავების წარმოშობის რისკს. კვალიფიციური ამზომველის საქმიანობა მოთხოვნადი ხდება. გარდა ამისა, საჯარო რეესტრს უფლებამოსილება ექნება ადგილზე გადაამოწმოს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საკადასტრო ნახაზის სისწორე, რაც კიდევ უფრო მეტად დაიცავს მესაკუთრის უფლებებს.

ამასთან, მიწის რეფორმის ფარგლებში, საკადასტრო აგეგმვითი ნახაზის საფასურს ამზომველებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო უნაზღაურებს. პირობების თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ამზომველსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული და დადგენილი წესით რეგისტრირებული მიწის აზომვაზე გაწეული ხარჯები, თითოეულ მესაკუთრეზე არაუმეტეს 5 ჰა-ის ფარგლებში; ზღვრული ოდენობები კი შემდეგია: ა). 1,5 ჰა-მდე მიწაზე — არაუმეტეს 80 ლარის ოდენობით: ბ).1,5 ჰა-დან 5 ჰა-მდე მიწაზე — არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით.

სახელმწიფო თავის თავზე ვალდებულებას იღებს დახმარება გაუწიოს მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში, კერძო:

პროექტის დაწყებამდე მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებული იყო მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარედგინა სრული დოკუმენტაცია, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებდა; დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში კი, საჯარო რეესტრი ქონების რეგისტრაციაზე უარს ამბობდა. დოკუმენტების ხელახალი შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებას წარმოადგენდა — სხვაგვარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდებოდა.

ახალი კანონის თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდა. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი ეხმარება. გაიზარდა იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომლის საფუძველზეც მიწის რეგისტრაციაა შესაძლებელი. ცვლილებების თანახმად, ქონების რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა. უმნიშვნელოვანესი ხარვეზი — მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა, უზუსტობა ასოებში, არასწორი დაწერილობა და სხვა — აღარაა მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი, თუ პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და სხვ.) ერთმანეთს შეესაბამება.

გარდა ამისა, შესაძლებელია ხარვეზიანი დოკუმენტაციის ლეგალიზება და ფაქტების კონსტატაციის გამოყენება. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა მჭიდროდ თანამშრომლობენ საკუთრების დადგენის ნაწილში, რაც ახალი საკანონმდებლო ცვლილებებითაა მხარდაჭერილი.

ახალი კანონის ამოქმედებით სახელმწიფო მოქალაქეს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს სთავაზობს. მედიატორების, მათ შორის სანოტარო მედიაციის მეშვეობით სახელმწიფო მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მარტივად, სასამართლო დავის გარეშე, მოგვარებაში ეხმარება.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები უსასყიდლოდ სრულდება. მიწის რეგისტრაცია ან ნაკვეთზე საკუთრების უფლებებში ცვლილება კი საჯარო რეესტრში საფასურის გარეშე სრულდება.

კანონმდებლობით დადგენილი ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად პირველადი რეგისტრაცია და რომელსაც მოპოვებული აქვს საკუთრების უფლება საკუთრების ობიექტზე დაზუსტებული სახით მიმართავს ამზომველს, მასთან აფორმებს წერილობით ხელშეკრულებას, რის შემდეგაც მზადდება მიწაზე შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

შემდეგ ეტაპზე მიწის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებული პირი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა საჯარო რეესტრს წარუდგენს:

ა). ამზომველთან გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებას;

ბ). შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელ მიღება-ჩაბარების აქტს;

გ). ამზომველის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯების ამსახველ დოკუმენტს;

დ). ამზომველის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს.

სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურება ექვემდებარება ამზომველსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული და დადგენილი წესით რეგისტრირებული მიწის აზომვაზე გაწეული ხარჯები, თითოეულ მესაკუთრეზე არაუმეტეს 5 (ხუთი) ჰექტრის ფარგლებში.



ამზომველისთვის ასანაზღაურებელი ზღვრული ოდენობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

1). 1,5 ჰა-მდე მიწაზე — არაუმეტეს ჯამში 80 ლარის ოდენობით;

2). 1,5 ჰა-დან 5 ჰა-მდე მიწაზე — არაუმეტეს ჯამში 100 ლარის ოდენობით.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება მიწის აზომვაზე გაწეული ხარჯები, თუ დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწა რეესტრში დარეგისტრირდა გეოგრაფიულად ერთმანეთის მომიჯნავე ცალკე რეგისტრაციის ობიექტად.

მიწის რეგისტრაციით დაინტერესებულ პირთა მიერ რეესტრში განაცხადის წარდგენის ვადაა არაუგვიანეს 2017 წლის 30 ივნისი.

ქვეყანაში მიწის რეფორმის დაწყების მიზეზი მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებული პრობლემები გახდა. 2016 წლის პირველი აგვისტოს მონაცემებით საქართველოში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25% იყო რეგისტრირებული.

აღნიშნულმა ინიციატივამ მოქალაქეების მაღალი ინტერესი გამოიწვია, რაც შედეგებითაც დასტურდება. პირველი აგვისტოდან დღემდე საჯარო რეესტრში მთელი ქვეყნის მასშტაბით 45 575 განცხადება შევიდა, აქედან 12 164 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა თავად მოიძია საჭირო საბუთები და ყოველგვარი ბარიერების გარეშე მოქალაქეებს მიწა წარმატებით დაურეგისტრირა; 25 743 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა მოქალაქის ნაცვლად თავად დაიწყო სხვადასხვა უწყებებში შესაბამისი საბუთების მოძიება და ამ განცხადებათა შესწავლა ასევე წარმატებით დასრულდება. აჟამად 4648 განცხადება შესწავლის პროცესშია.

ასევე, რეფორმის ფარგლებში მოქმედებს ფაქტების კონსტატაციაც. იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტაციით მიწის ნაკვეთის მდებარეობა, საზღვრები და ა.შ. არ დგინდება, ან სადავო სიტუაციაა, საჯარო რეესტრი ფაქტების დასაზუსტებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავად მიმართავს და ამ პროცესში უწყების წარმომადგენლებს რთავს.

შეგახსენებთ, რომ პროექტის ფარგლებში უფასოდ ისარგებლებთ შემდეგი მომსახურებით:

1).დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;

2). ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება;

3).მედიაცია, მათ შორის სანოტარო მედიაცია;

4).მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;

5).ფაქტების კონსტატაცია;

6).მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია;

7). საკადასტრო აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაზუსტება (რაც გულისხმობს ელექტრონული ნახაზის გარეშე არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ცვლილებების რეგისტრაცია უფასოდ).

საკუთრების უფლების დადგენის პროცესში ჩართულია მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილზე არსებული ინფორმაციის ყველაზე ეფექტური წყარო.

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის სახლებს, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს.

***წერილი მომზადებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მასალების მიხედვით***

# ასპინძის სამრევლო სკოლაში სწავლა დაიწყო

ახალციხის გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიასთან არსებულ ასპინძის სამრევლო სკოლაში სწავლა დაიწყო.

2016 წლის 26 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით სემინარიაში განცხადება შეიტანა და ჩაირიცხა 102 ბავშვი, რომლებიც ასაკობრივი მონაცემებით გადანაწილდა მესამე კლასიდან მეთორმეტე კლასამდე, ასევე ცალკეა გამოყოფილი აბიტურიენტთა კლასი.

მესამე კლასიდან მეათე კლასის ჩათვლით მეცადინეობები მიმდინარეობს ხელოვნებაში, რომელიც ითვალისწინებს ხატვის გაკვეთილებს და საუბრებს ხელოვნებაზე (პედაგოგი **ირაკლი ბერიძე**).

მე-11 კლასელები აქ გაძლიერებულად სწავლობენ ქიმია-ბიოლოგიას (პედაგოგი **მაია ნათენაძე**) და ფიზიკას (პედაგოგო **თეიმურაზ ველიჯანაშვილი**).

მე-12 კლასელებსა და აბიტურიენტებს აქ შეუძლიათ უფასოდ მოემზადნენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (პედაგოგი როზა ნარიმანიძე), ისტორიაში (პედაგოგი კლარა ზედგინიძე), ინგლისურში (პედაგოგი ინგა ზედგინიძე), ზოგად უნარებში — ვერბალურ და მათემატიკურ ნაწილში კი მათ მოამზადებს დედა თამარი.

გაკვეთილები კვირაში ორჯერ ტარდება ყველა საგანში.

აღსანიშნავია, რომ მე-10-მე-12 კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის აუცილებელია რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება. ასპინძის სამრევლო სკოლაში რელიგიის გაკვეთილებს ატარებს **დედა თამარი, მამა ზოსიმე და ნოდარ რიჟამაძე.**

წელს, პირველად, ექსპერიმენტის სახით, მე-10 კლასელებს უტარდებათ რუსული ენის გაკვეთილები (პედაგოგი ნინო სახვაძე), სადაც ძირითადი აქცენტები გადატანილია რუსი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებზე და რუსული ენის შესწავლა მოხდება საუბრის დონეზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ყველაფერი კეთდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია მათი სურვილები და შესაძლებლობები.

***საკუთარი ინფორმაცია***

# იურმალა — ჩემი ოცნების ქალაქი

ალბათ ყველას სმენია „ახალი ტალღის“ კონკურსები იურმალაში, მაგრამ ახლა იურმალა იმითაცაა ცნობილი, რომ აქ საქველმოქმედო ფონდ „სოფიას“ თავმჯდომარემ ანდრეი პოდმაზოვმა და სამმართველოს წევრმა ნატალია ჟიტკოვამ საფუძველი ჩაუყარეს „პედაგოგთა დაოსტატების საერთაშორისო კონკურსს“ სახელწოდებით — „იურმალას შემოდგომა“. წლევანდელი წლის საკონკურსო თემა იყო — „ჩვენი დროის მასწავლებელი“. აქედან გამომდინარე, მეც გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო აღნიშნულ კონკურსში და მოვამზადე საკონკურსო თემა ასპინძის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელზე — ნანი კუკავაზე, ლინა გასპარიანსა და ჩემს მუშაობაზე. იმისთვის რომ ფინალში მოხვდე, უნდა გაიარო რთული გზა, რადგან აქ მონაწილეობენ საუკეთესო პედაგოგები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ბედნიერება მხვდა წილად იურმალაში მიწვეული ვყოფილიყავი. ჩემთან ერთად საქართველოდან მიწვეული იყო თბილისის ამერიკული სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თეა აკიაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ გასულ წელს გავიცანით პუშკინის საერთაშორისო კონკურსზე მოსკოვში. ის შესანიშნავი პედაგოგი და არაჩვეულებრივი ადამიანია.




თვითმფრინავის ასაფრენ ბილიკთან საზეიმოდ დაგვხვდნენ კონკურსის ორგანიზატორები და პირველივე წუთიდან ვიგრძენით, თუ როგორ უყვართ ლატვიაში საქართველო. ფინალი შედგა სამ ნომინაციაში: „ავტოპორტრეტი“, „გაკვეთილი“ და „გაკვეთილის იმპროვიზაცია“. ჩვენთვის იურმალაში გატარებული ყოველი დღე განუმეორებელი და დაუვიწყარი აღმოჩნდა. ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში მუშაობის შემდეგ, შესაძლებლობა მოგვეცა ახლოს გავცნობოდით იურმალასა და რიგის ღირსშესანიშნაობებს. კაუგორის საშუალო სკოლის დირექტორი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ კომფორტულად გვეგრძნო თავი. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის კონკურენტები ვიყავით, მაინც ხელს ვუწყობდით ერთმანეთს მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის. გაკვეთილები კი ერთი მეორეზე უკეთესად ტარდებოდა.

ცნობისათვის: 6 ივნისს, პუშკინის დაბადების დღეს, ტრადიციულად ცხადდებიან ფინალისტები. ჩემი ტელეფონი „განითლებული“ იყო მისალოცი ზარებით. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, წინ მრავალი სიურპრიზი გველოდა...

იურმალაში გამგზავრებას კი შესაბამისი თანხები ჭირდებოდა, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, მე არ მქონდა, იძულებული გავხდი ბანკიდან სესხი გამომეტანა და ისე გავმგზავრებულიყავი. სომხეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკებიდან გამარჯვებულმა პედაგოგებმა კი, საერთოდ, ვერ შეძლეს ჩამოსვლა. საბოლოოდ მხოლოდ თერთმეტმა პედაგოგმა მოვახერხეთ გამგზავრება. ჩემთან ერთად იყვნენ: ფიზიკის მასწავლებელი სანკ-პეტერბურგიდან ტატიანა გრებენნიკოვა, რიგელი ბიბლიოთეკარი იულია ალექსანდროვა, დაწყებითი კლასების პედაგოგი, ასევე სანკ-პეტერბურგელი ირინა კალეკინა, ყაზახეთიდან — ირინა კოვენკოვა, მოსკოვიდან — ვერონიკა კოლესნიკოვა, სერბეთიდან — კრსტიჩ დარინკა, ბელარუსიდან — ვასილ მალინოვსკი, უკრაინიდან — თამარა სკურიხინა და ოქსანა ტიტარენკო.

მასპინძელი სკოლა პირველ რიში იმით იყო საინტერესო, რომ აქ სანიმუში წესრიგი და დისციპლინა სუფევს, მოსწავლეები მომზადების მაღალი აკადემიური დონით გამოირჩევიან, მაღალ დონეზეა მოსწავლეთა მხრიდან მოსმენის კულტურა. კაუგორის საშუალო სკოლის დირექტორი ზინაიდა ტარასენკო ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თავი გვეგრძნო თავისუფლად.

განსაკუთრებული დაინტერესება გამოვიჩინეთ ლატვიის რესპუბლიკაში განათლების სისტემის მუშაობით, რაზეც ქალბატონ ზინაიდასაგან ამომწურავ პასუხებს ვღებულობდით.

სკოლაში დაწესებულია 4 სემესტრიანი სწავლა და 10 ბალიანი შეფასება, გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 წუთით, განაკვეთი — 30 საათით (21 საგაკვეთილო, ხოლო 9 — გაკვეთილის მომზადება), მომზადება სახლშიც შეიძლება. ყველა კლასშია კომპიუტერი, მაგნიტური დაფები, უმიზეზოდ გაკვეთილებს ბავშვები არ აცდენენ და არ აგვიანებენ. სპეციალური გაცდენები მათთვის სრულიად მიუღებელი და უცხოა. მთელი სკოლა ყვავილებითაა სავსე, სპორტულ და სხვა მასობრივ ღონისძიებებში მოპოვებული თასები და სიგელები კი განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი. მასწავლებლები სისტემატურად იმაღლებენ ცოდნის დონეს, რეგულარულად ტარდება ღონისძიებები და შიდა სასკოლო ოლიმპიადები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვისაც, გამოცდილების გაზიარების მიზნით კი სკოლის ხარჯებით ხშირად იგზავნებიან სხვადასხვა ქვეყანებში და მეგობრულ კავშირებს ამყარებენ შესაბამის სკოლებთან.

მსგავსი კონკურსები მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს დაძლიოს პრობლემები, ხოლო კონკურსის შემდეგ მუდმივი კავშირები აქვთ კოლეგებთან და ა. შ.

მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენ ნამდვილ მასწავლებლებად გვეგრძნო თავი.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ასპინძელ კოლეგებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს წარმატებაში. აქვე დავძენ, რომ გამგზავრების წინ მათ იურმალაში საჩუქრად გადასაცემად გამატანეს ასპინძელი მხატვრის რევაზ გვირჯიშვილის ნახატი „ხერთვისი“, რომელიც დაჯილდოების ცერემონიალზე მრავალმა ადამიანმა იხილა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. მოსწავლეები ვერ მალავდნენ მოზღვავებულ ემოციებს.

როგორც შევიტყვეთ, ამიერიდან ამ კონკურსს სხვა დატვირთვაც ექნება — კონკურსის მონაწილეები და ადგილობრივი მოსწავლეები, ტრადიციულად, კონკურსის ჩატარების შემდეგ, სამახსოვრო სურათებს გადაიღებენ ჩვენ მიერ გადაცემული საჩუქრების გვერდით და, ცხადია, ამით შესაბამისი რეკლამირებაც ხდება ამა თუ იმ ქვეყნისა, რომელ მხარესაც წარმოადგენს საჩუქრის გადამცემი კონკურსის მონაწილე პედაგოგი.

რა ცოტაა საჭირო იმისათვის, რომ იყო ბედნიერი. მე, უბრალო, პატარა დაბის მასწავლებელი, ვიდექი ევროპული ქვეყნების საუკეთესო მასწავლებელთა შორის და ვგრძნობდი, რომ შრომა დამიფასდა, — დაჯილდოებული ვიქენი მედლით ნომინაციაში — საუკეთესო ესესათვის.

საზოგადოებაში მთავარი ფიგურა მასწავლებელია, რომლის გარეშეც მომავალი თაობის აღზრდა წარმოუდგენელია. მასწავლებელი — ეს არა მარტო პროფესიაა, არამედ — თითოეული ადამიანის ცხოვრების ნაწილიცაა.

**ოლღა ლეკიშვილი**
ასპინძის საჯარო სკოლის
პედაგოგი

# დრო გვიჩვენებს, თანდათან ვისწავლოთ უშენოდ ცხოვრება...



ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა უშენოდ, სიტყვებით ვერ აიხსნება ის ტკივილი, რომელიც შენმა უეცარმა გარდაცვალებამ მოგვაყენა...

ლიზიკო ზაზაძე უკვე აღარ არის, ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა, ოთხმოცი წლისა 2017 წლის გაზაფხულზე გახდებოდა. წლებს მნიშვნელობა არა აქვს. ძნელი ყოფილა საუკეთესო მეუღლის, დედის, ბებიის და მეგობრის დაკარგვა.

სკოლის დამთავრებისთანავე მან მუშაობა დაიწყო გაზეთ „ასპინძის“ რედაქციაში კორექტორად. სწორედ აქ გალია ცხოვრების საუკეთესო წლები ლიზიკო ზაზაძემ, როგორც ნიჭიერმა, ჭკვიანმა, შრომის მოყვარე ადამიანმა და დიდი სიყვარული დატოვა მთელ შრომით კოლექტივში.

თაობები გაიზარდნენ მის ხელში. თითოეული რედაქციელისათვის ის კოლეგაც იყო, ოჯახის წევრიც, დედაც და საუკეთესო მეგობარიც, იგი თითოეულ მათგანს გვერდში ედგა ლხინშიც და ჭირშიც. ხმას არასოდეს არ აუწევდა, მშვიდი და გაწონასწორებული, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა იყო.

არაფერია მონატრებაზე ძნელი, ჩვენო ობოლობაში გაზრდილო და უძვირფასესო ადამიანო. დასანანია, რომ ჩვენს გვერდით აღარ იქნები. შენ ხომ ჩვენთვის დამრიგებელიც იყავი და გამამხნევებელიც. დღესაც ხომ ბევრნი არიან ისეთი ადამიანები, ვინც შენთან ერთად გატარებულ წლებზე დიდი სიყვარულით საუბრობენ.

უკვე ძალიან გვაკლიხარ ყველას და დარწმუნებული ვართ, რაც უფრო მეტი დრო გავა, მეტად ვიგრძნობთ უშენობას. დრო მკურნალიაო, ამბობენ... არა, მკურნალი კი არა, უბრალოდ, დრო გვიჩვენებს თანდათან, ვისწავლოთ უშენოდ ცხოვრება. დიდბუნოვანი სულის, კეთილშობილებით აღსავსე, უანგარო, გულისხმიერი, მოყვარის მოყვარული იყავი და ასეთად დაგვამახსოვრდებით მუდამ.

მოვალთ შენს საფლავთან, სანთლებს დაგინთებთ და უფალს შევთხოვთ, ჩვენი დანთებული სანთლებით გზა გაგინათოს სასუფევლისაკენ და სიმშვიდე არ მოაკლოს შენს სულს, ჩვენო ლიზიკო...

შენ კი, შენის მხრივ, დალოცე ყველა, შეაძლებინე შენს მეუღლეს — შურა ბერიძეს უშენობა, შეაძლებინე შენს შვილებს — ლიას, ზურას, გიას, სიძეს, რძლებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს უშენოდ ცხოვრება.

ღმერთმა შენი სული ნათელში ამყოფოს და მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს.

მსუბუქი იყოს შენვის ასპინძის მიწა.

**მანანა კიკნაძე**

## სპორტი

# მოყვარულთა თასის 2016 წლის ასპინძის მუნიციპალური ეტაპი დასრულდა

„მოყვარულთა თასი — 2016“ — მიზნად ისახავს ფეხბურთის მასობრიობის გაზრდას, ფეხბურთის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის, ჯანსაღი და სპორტული ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სისტემატური, ყოველწლიური სამოყვარულო საფეხბურთო ლიგების ჩამოყალიბებას და, ბოლოს, საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ეროვნული ნაკრების კანდიდატების შერჩევასა და მომზადებას.

„მოყვარულთა თასი — 2016„-ს ხელმძღვანელობასა და ორგანიზებას უწევს საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

ჩემპიონატში მონაწილეობენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ტეგისტრირებული საქართველოში არსებული ორგანიზაციებისა და სხვადასხვა რაიონების, უბნის სამოყვარულო საფეხბურთო გუნდები.

მონაწილე გუნდის განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელების ასაკი განისაზღვრა 16 წლიდან.

ასპინძის მუნიციპალური ეტაპი გაიმართა ამა წლის 18 - 29 სექტემბერს და მონაწილეობას იღებდნენ — გუნდ „ვარძიის“, ორგორა-სახუდაბლის, ივერიის, ტოლოში-ხერთვისის, სოფელ ზველის და ხიზაბავრის სამოყვარულო საფეხბურთო გუნდები.

ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოლიმპიური სისტემით კენჭისყრის საფუძველზე, გამარჯვებული გუნდი ასპარეზობას აგრძელებდა მომდევნო ტურში, ხოლო დამარცხებული გუნდი ეთიშებოდა თასის გათამაშებას.

ასპინძის მუნიციპალური ეტაპის საფეხბურთო მატჩებს ემსახურებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ რეკომენდებული და დამტკიცებული მსაჯები.

როგორც აღინიშნა, ასპინძის მუნიციპალურ ეტაპზე მონაწილეობდა 6 სამოყვარეო საფეხბურთო გუნდი, გაიმარჯვა დაბა ასპინძის გუნდმა „ვარძიამ“ და რეგიონულ ფინალშიც გავიდა.

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა რეგიონული ფინალური თამაშები. ახალქალაქის მოყვარული ფეხბურთელები დაუპირისპირდნენ ნინოწმინდელ ფეხბურთელებს, ხოლო ასპინძის სამოყვარეო ფეხბურთელთა გუნდი „ვარძია“ ფინალში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საფეხბურთო გუნდს შეხვდა.

ფინალში გავიდნენ ახალქალაქისა და „ვარძიის“ ფეხბურთელები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოყვარეო ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ასპინძელებს საჩუქრად ფორმები და ფეხბურთის ბურთები გადასცა.

ახალქალაქისა და „ვარძიის“ სამოყვარეო ფეხბურთელთა გუნდები ამ თვეშივე მონაწილეობას მიიღებენ ქალაქ თბილისში „მოყვარულთა თასი — 2016„-ის ფინალურ ეტაპში, რესპუბლიკის 16 სამოყვარეო გუნდთან ერთად.

**პაატა ქავთარაძე**

## ფოლკლორი

***

ან რათ გინდათ ნეტავ ლექსი,
ჩემი გულის სევდა მკრთალი
თქვენ ეგრევეც ნაქები ხართ,
შემოგნატრით ყველას თვალი.

თქვენ მაისის ყვავილი ხართ,
გაშლილი და განაფერი,
ვეხვეწები ციურ ძალას
თქვენ გარგუნოთ ყველაფერი.

მაშ, იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ,
გაიხარეთ, გაიმრავლეთ,
ხან მზის სხივსა შიედარეთ,
ხან მნათობი ღამის მთვარეს.

***

მთების ქარს ვენაცვალე,
წუნდის ტბას ვენაცვალე,
ჩემს სატრფოს საყვარლისას,
ცხვრის ფარას ვენაცვალე.

მოდი, სხვაზე წინ მოდი,
ამ გულის საამებლად,
დალონება მიკლავს გულს,
ტრფობა მექცა წვალებად.

*მთქმელი **ევა მაისურაძე**, 81 წლის, ნაქალაქევი, გაგონილი აქვს დედამისისაგან — **სოფო დავლაშერიძისაგან** (1908 წელს დაბადებული. სოფ. როკეთი), ჩაიწერა **რუსუდან ბერიძემ** 2016 წელს*

**რედკოლეგია**